

ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისათვის

ნოტარიუსი მეტრი ანდრე შვახტგენი, ლუქსემბურგი
ლნსკ-ს საპატიო პრეზიდენტი

შესავალი

1992 წლის მაისში მარაკეში (მაროკო) ჩატარებული ლნსკ-ს წვერი ნოტარიატების ასამბლეის გახსნაზე, თავისი გამოსვლის ბოლოს, ამჟამად საპატიო, მაგრამ იმ დროისათვის ლნსკ-ს პრეზიდენტმა ჟილ დემერსმა, რომლის მემკვიდრეც (შემცვლელიც) შემდეგში გახდა ამ მოხსენების ავტორი, თქვა:

„ნოტარიუსები ასრულებენ უაღრესად სასარგებლო როლს ნებისმიერ თანამედროვე სახელმწიფოში. თავისი სანოტარო საქმიანობით ისინი უზრუნველყოფენ გარიგებათა მუდმივ ხასიათს, არიან რა სპეციალისტები იურიდიულ საკითხებში, მხარეებს განუმარტავენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს; მათი მიუკერძოებლობა არის ხელშეკრულებათა დაბალანსების გარანტია. როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები, ანიჭებენ ავტენტურობასა და სააღსრულებო ძალას თავიანთ აქტებს. ასეთია მათი მეტნაკლებად ცნობილი როლი. მაგრამ გარდა ამისა, ისინი ასრულებენ კიდევ ერთ ფუნქციას, რომელიც სულ უფრო და უფრო მაღალ შეფასებასა და აღიარებას იწვევს: იმ ქვეყნებში, სადაც ეწევიან თავიანთ საქმიანობას, საკუთარი შრომით ხელს უწყობენ სოციალური მშვიდობის შენარჩუნებას ხოლო, როგორც გამაფრთხილებელი მართლმსაჯულების წარმომადგენლები, ამსუბუქებენ იმ ფინანსურ ტვირთს, რასაც ატარებენ მართლმსაჯულების ორგანოები. სამოქალაქო და კომერციულ ბრუნვაში სანოტარო აქტების მტკიცებულებითი და აღმსრულებელი ძალა ამცირებს სასამართლო ორგანოებისადმი მიმართვის ალბათობას, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული ადმინისტრაციული და სასამართლო ჩარევა, რასაც უმეტესად ახლავს ხანგრძლივი და ძვირი პროცედურები. იყოს უდავლ მართლმსაჯულების იურისტები, სწორედ ეს არ არის ნოტარიუსის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება? ამჟამად ნოტარიუსის დანიშნულების აღნიშნული მხარე იქცევა იმ მთავრობის ყურადღებას, რომელიც სამოქალაქო სამართლის დარგში აკეთებს არჩევანს კონსესუალურ და შეჯიბრობითობის პრინციპებს შორის.“

ამ აქტუალური გამონათქვამიდან გამომდინარე, ჯერ შეგახსენებთ ლათინური ნოტარიატის ფუნდამენტურ პრინციპებს, ხოლო შემდეგ გავაანალიზებ ნოტარიუსის დავაწლს მართლმსაჯულების სისტემაში. შეეხერხები საზოგადოებისათვის მისი საქმიანობის მნიშვნელობაზე და ეკონომიკისათვის მისი შუამავლობის უპირატესობაზე. დასასრულს, ხაზგასმით მივუთითებ ნოტარიატის უმნიშვნელოვანეს როლზე ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში

1. ლათინური ნოტარიატის ფუძემდებლური პრინციპები

ა. ნოტარიატის განსაკუთრებული მისიის განსაზღვრა

-----წელიწადზე ნაკლები გვაშორებს ცნობილი ფრანგული "25 ვანტოზის" ორგანული კანონისაგან, (საფრანგეთის რევოლუციის 11-ე წელი). ამ ხნის განმავლობაში მომხდარი კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების ძირეული

ცვლილებების მიუხედავად, ეს კანონი სამოქალაქო სამართლის უმრავლეს ქვეყანაში რჩება ჩვენი პროფესიის საფუძვლად. უმნიშვნელო ცვლილებებმაც არ შეცვალა მისი ფუნდამენტური პრინციპები.

ნოტარიატის შესახებ არსებული არცერთი კანონი არ განსაზღვრავს მის სპეციფიკურ მისიას უფრო ზუსტად, ვიდრე ეს გადმოსცა ვანტოზის კანონის მიღებისას პროფესორმა რეალმა თავის ცნობილ ფრაზაში ნოტარიუსის როლის შესახებ: „წარმოადგენს რა მხარეთა უანგარო მრჩეველსა და მათი ნების მიუკერძოებელ გამომვლინებელს, ისინი განუმარტავენ მხარეებს იმ სრულ ვალდებულებას, რაზედაც იდება ხელშეკრულება. ახდენენ ვალდებულებათა მკაფიო ფორმულირებას (რითაც ასრულებენ ნდობის მისიას), გარიგებებს ანიჭებენ დამამოწმებელ ხასიათს (მტკიცებულებითი ძალა) და საბოლოო გადაწყვეტილების ძალას (სააღსრულებო ძალა), ინახავენ მხარეთა კეთილი ნების გამოვლინებას (მოქმედების მუდმივი ხასიათი).

ნოტარიუსი როგორც მრჩეველი და საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეთა ნდობით აღჭურვილი პირი

ნოტარიუსის უპირველესი დანიშნულებაა, იყოს უანგარო და მიუკერძოებელი მრჩეველი, რომელიც მოვალეა აუხსნას მხარეებს იურიდიული ხელშეკრულების ძალით მათზე დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულებების ხასიათი და მოცულობა.

ყველა ერთსულოვნად აღიარებს, რომ მრჩეველად ყოფნის ვალდებულება წარმოადგენს გადამწყვეტ პირობას სასამართლო დავების თავიდან ასაცილებლად. მრავალი სამოქალაქო თუ კომერციული დავა წარმოიშობა არამართლზომიერი, არასრული ან გაურკვეველი აქტების გამო. სწორედ ამიტომ, დავების შემცირების მიზნით, საჭიროა სანოტარო აქტები იყოს ნაკლებად სადაო.

აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ნოტარიუსის სამ სტრატეგიულ ეტაპზე მონაწილეობის მეშვეობით: მხარეთა შორის პირველი ხელშეკრულების დადებამდე და დადებისას, აგრეთვე იმ ხელშეკრულების დადებისას, რომელიც აერთიანებს ამ ხელშეკრულებებს ერთიან იურიდიულ ჩარჩოში და იძლევა მისი შესრულების გარანტიას.

პირველი ხელშეკრულების შედგენამდე და შედგენის შემდგომ ნოტარიუსი:

- ა) განსაზღვრავს მხარეთა ჭეშმარიტ ნებას;
- ბ) ერთმანეთთან აახლოებს მხარეთა ნებას, ცდილობს შეამციროს უთანხმოება და დაძაბულობა, კომფლიქტამდე მისულ უკიდურეს შემთხვევაში მიაღწიოს თანხმობას;
- გ) გასცეს ინფორმაცია იმ არჩევანის შესახებ, რომელიც მხარეთათვის დასაშვებია კანონმდებლობით;
- დ) მხარეთა ნება გამოხატოს იურიდიული ფორმით, მოაქციოს იგი შესაბამის იურიდიულ ბრუნვაში.

ნოტარიუსი როგორც სამართლებრივი დაცვის მატარებელი

ნოტარიუსი არის მის მიერ დამოწმებული აქტების ნამდვილობისა და კანონიერების შემნახველი და მატარებელი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი სამართლებრივი დამცველი.

კანონიერების უზრუნველყოფისას ნოტარიუსი მოქმედებს ნებისმიერი საზოგადოების სამართლებრივი წონასწორობისა და დაცულობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სოლიდარობისა და მშვიდობის მხარდაჭერის მიზნით.

ამ დარგში ნოტარიუსის მისია თანაბრად შეეხება როგორც სახელმწიფოს საჯარო ინტერესებს, ასევე მისი მოქალაქეების კერძო ინტერესებსაც. ნოტარიუსმა მუშაობისას უნდა უზრუნველყოს შედგენილი აქტების როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი საიმედოობისა და დაცულობის ხარისხი.

ნოტარიუსის მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული როლი მხარეთა ვალდებულებების გამოსატვის ისეთი ფორმის მონახვისას, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შესაძლო დავა მომავალში

ჩვეულებრივ, ნოტარიუსს ანდობენ ისეთი აქტის შედგენას, რომლის ფორმულირებაც მხარეთათვის უნდა იყოს კანონი.

ნოტარიუსი, რომელსაც დავალებული აქვს აქტის შედგენა, ასრულებს თავის მოვალეობას მრჩეველის როლიდან გამომდინარე, ანიჭებს დოკუმენტს ეფექტურობასა და დაცულობას

ა) ნოტარიუსი აქტის შედგენისას გამოდის გამაფრთხილებელი მართლმსაჯულების როლში, იმ მოცულობით, რომელშიც:

- შენარჩუნებულია მხარეთა გამოვლენილი ნება და მისი გამოსატვის კანონიერი ფორმა,
- აქტის დამოწმებამდე და მისი დამოწმების შემდგომ, ნოტარიუსი ამოწმებს მხარეთა განცხადებას, იპოვის რა შესაბამის მტკიცებულებას,

ბ) დავების აღსაკვეთად აუცილებელია ნოტარიუსმა გულმოდგინედ მოამზადოს როგორც მნიშვნელოვანი, ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

4. ნოტარიუსი როგორც მტკიცებულებათა დაცულობის გარანტი

ნოტარიუსი თავისთან ინახავს ხელშეკრულებათა ორიგინალებს, მათ ასლებსა და კარტოთეკებს, აგრეთვე მისთვის პირადად გადაცემულ ანდერძებს.

ბ. სანოტარო აქტი, როგორც სასამართლო დავების გამარტივების საშუალება

ნოტარიუსი, როგორც საჯარო თანამდებობის პირი, სანოტარო აქტს დამოწმებისას ანიჭებს ავთენტურობას, ამასთანავე რეალურად ამარტივებს სააღსრულებო წარმოებას.

სანოტარო აქტის მტკიცებულებითი ძალა

ა) გავლენა საქმისწარმოებაზე

სანოტარო აქტი ამსუბუქებს მტკიცებულებათა წარდგენას

ის ვინც წარადგენს ნოტარიუსის მიერ მართებულად შედგენილ და დამოწმებულ დოკუმენტს, არ არის ვალდებული ამტკიცოს მისი სარწმუნოება;

ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი სასამართლოსთვის არის სარწმუნო.

სანოტარო აქტი ამსუბუქებს მოსამართლის სამუშაოს მართლმსაჯულების წარმოებისას

სანოტარო აქტი წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმების უტყუარ მტკიცებულებას;

ხარისხის აპრიორული კონტროლი, შესრულებული სანოტარო აქტის შედგენაზე პასუხისმგებელი ნოტარიუსის მიერ, სასამართლოს თავიდან აცილებს ზოგიერთ წინასწარ შემოწმებას;

სანოტარო აქტის თარიღი, რომელიც არ ექვემდებარება დავას, წარმოადგენს უფლების ან ვალდებულების წარმოშობის მომენტს, რომელზედაც მიუთითებს ერთერთი მხარე.

სანოტარო აქტის მტკიცებულებითი ძალა სავალდებულოა სასამართლოსათვის

მას აქვს სასამართლო გადაწყვეტილების თანაბარი ძალა.

ბ) მტკიცებულებათა დაცულობა

სანოტარო აქტი ანიჭებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს დამატებით დაცულობას სარწმუნოების პრეზუმფციის;

სანოტარო აქტის მუდმივი ხასიათის;

სანოტარო აქტის შედგენისას განსაზღვრული ფორმის დაცვის ვალდებულების მეშვეობით.

სანოტარო აქტის სააღსრულებო ძალა

ა) სანოტარო აქტს აქვს სასამართლო გადაწყვეტილების თანაბარი ძალა, არ ექვემდებარება სააპელაციო გასაჩივრებას

მისი შესრულება არ მოითხოვს წინასწარ მიმართვას სასამართლოსადმი;

სანოტარო აქტის შესრულება ხდება ავტომატურად, მისი ბუნებიდან გამომდინარე;

სანოტარო აქტი – ეს არის დოკუმენტი, რომელიც სრულდება მხარეთა ნების საფუძველზე.

იღებენ რა ვალდებულებას. შეასრულონ სანოტარო აქტის დებულება, მხარეები წინასწარ, თავისი ნებით თანხმდებიან ოპერატიულად შეასრულონ საკუთარ თავზე აღებული ვალდებულება.

ბ) აქტის „არასასამართლო“ აღსრულება საფრთხეს არ უქმნის მოვალის დაცვით საშუალებებს

გადავადების ან აღსრულების შეჩერების მიზნით, მოვალეს უფლება აქვს გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული მითითებები, კერძოდ:

მოითხოვოს კანონით გათვალისწინებული ვადის დაცვა;

მოითხოვოს სააღსრულებო ძალის შეჩერება, დანაშაულად კვალიფიცირებული გაყალბების შესახებ საჩივრის ან სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სიყალბის შესახებ განცხადებით;

დაეყრდნოს ზოგიერთ საკანონმდებლო დებულებებს, რომელიც იძლევა აღსრულების გადავადების საშუალებას (ნოტარიუსის არჩევანის, სავაჭრო ფორმის მუშაკის, ნასყიდობის პირობების და ა.შ. გასაჩივრება)

გ. სანოტარო ფორმა, როგორც მხარეთა დაცვის საშუალება

დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც კი, მხარეებს უფლება აქვთ თვითონ აირჩიონ საკუთარი დოკუმენტების დამოწმების ფორმა. დარგი, რომელშიც სანოტარო ფორმა არის სავალდებულო, გამოკვეთილი და განსაზღვრულია.

იმ შემთხვევების ანალიზი, რომელთათვისაც სავალდებულოა სანოტარო დამოწმება, და რისთვისაც ითხოვენ მას კანონმდებლები, საშუალებას იძლევა გამოვეყნოთ ოთხი მიზეზი, რომელიც ჯგუფდება დაცულობის იდეის გარშემო.

ზოგიერთ შემთხვევაში მხარეთათვის ქმედების მნიშვნელობას მიყვავართ იქამდე, რომ მხოლოდ ნების გამოვლენა არ არის საკმარისი სამართლებრივი შედეგის დასადგომად, აუცილებელია მივცეთ მას სანოტარო ფორმა. ეს ესება საქორწინო კონტრაქტებს და ა.შ. აღნიშნული ქმედება ითვლება ისეთი მნიშვნელობის მქონედ, რომლის სისრულეში მოყვანას მხარეები შეძლებენ საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის უფლებამოსილებით აღჭურვილი კომპეტენტური პირის მონაწილეობით.

სხვა შემთხვევაში, დამოწმების სანოტარო ფორმა სავალდებულოა აქტის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე. მაგალითად, ასეთი ვითარებაა პრაქტიკულად სამოქალაქო სამართლის ყველა ქვეყანაში ისეთი საზოგადოებების ჩამოყალიბებისას, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალის გაერთიანებას (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები, კომანდიტური სააქციო საზოგადოებები). მიზეზს წარმოადგენს ის, რომ იმ ტიპის საზოგადოებების შექმნისას, რომლებიც

ოპერირებენ უფრო მსხვილი კაპიტალით, ვიდრე ცალკეულ პირთა გაერთიანება და რომლებსაც ხელი მიუწვდებათ მოსახლეობის ფულად ანაბარზე. ანგარიშში პატარა შეცდომამ შეიძლება მიგვიყვანოს არამართლზომიერ შედეგებამდე.

სანოტარო ფორმა აუცილებელია აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეთა დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც ჩვეულებრივ მიჩნეულნი არიან ნაკლებად დაცულებად. აღნიშნულში იგულისხმებიან მაგალითად, არასრულწლოვნები და არაქმედუნარიანები, აგრეთვე ისეთი მემკვიდრენი, რომლებიც პასუხს აგებენ მამკვიდრებლის ვალებისათვის მხოლოდ სამკვიდრო ქონების ფარგლებში.

და ბოლოს, სანოტარო ფორმა ხდება აუცილებელი იმ შემთხვევებში, როცა ის წარმოადგენს ობიექტური ინფორმაციის პირობას მესამე მხარეთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იყვნენ საქმის კურსში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა ცვლილებისა და პოტენციური მოვალეების შესახებ (უძრავი ქონების გადასვლა და რეგისტრაცია, იპოთეკით დატვირთვა).

II. ნოტარიუსის წვლილი მართლმსაჯულების აღსრულებისას

ა) ნოტარიუსი, როგორც მართლმსაჯულების რწმუნებული

1. სახელმწიფო ანდობს ნოტარიუსს ზოგიერთი განსაკუთრებული ამოცანის შესრულებას მაგალითად, არაქმედუნარიან, ან ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყოფ პირთა დაცვას.

ერთ-ერთი მხარის ნებაყოფლობითი შეთანხმებისას, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ნოტარიუსის მონაწილეობა ისეთი კონტრაქტის რეალიზაციისათვის, რომლებიც არ შეიძლება შესრულდეს ბუნებრივად.

განსაკუთრებულ ამოცანათა შეთავსება ნოტარიუსის ტრადიციულ როლთან

ა) ნოტარიუსი, რომელიც გამოდის მართლმსაჯულების როლში, პირდაპირ წყვეტს მხარეთათვის მრჩეველად ყოფნას:

მისი მონაწილეობა აღარ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე, არამედ განსაზღვრულია სასამართლოს მიერ.

ის აღარ გამოდის მხარეთა მომრიგებლისა და არბიტრის ჩვეულებრივ როლში იმიტომ, რომ მიცემული სპეციალური დავალება მიზნად ისახავს განსაზღვრულ პირთა ინტერესების დაცვას სხვა პირთა ან მათ წარმომადგენელთაგან.

ბ) ამ განსაკუთრებული ამოცანების შესრულება ნოტარიუსისგან მოითხოვს ტრადიციული თვისების გამოვლენას:

სამართლიანობის გრძნობას, რაც საშუალებას იძლევა აქტის შედგენისას შენარჩუნებულ იქნეს წონასწორობა ერთ-ერთი მხარის ნების საწინააღმდეგოდ.

გადაწყვეტილება უნდა იყოს მიუკერძოებელი.

საკუთარი პასუხისმგებლობის მძაფრი შეგრძნება.

განსაკუთრებულ ამოცანათა ჩამონათვალი, რომელიც ნოტარიუსს აქვს დავალებული სასამართლოს მიერ და უფლებამოსილებანი მინიჭებული მათი შესრულებისათვის

ა) განსაზღვრულ პირთა წარმოდგენა

რომლებშიც შედიან:

უფლებათუნარონი: არასრულწლოვნები, პირები ფსიქიური აშლილობით, პირები, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი ქონების მართვა ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობის გამო, პირები, რომლებსაც ფაქტიურად არ შეუძლიათ გამოსატონ საკუთარი ნება.

ნოტარიუსის უფლებამოსილებანი

ნოტარიუსი მოქმედებს აღნიშნულ პირთა მაგივრად და ასრულებს მხოლოდ იმ მოქმედებებს, რომლებსაც ისინი შეასრულებდნენ საქმის წარმატებული დასრულებისათვის.

აღნიშნულ უფლებამოსილებებს ნოტარიუსი იძენს კომპეტენტური სასამართლოსაგან.

ბ) სანოტარო აქტის შედგენის ამოცანაა სასამართლო კონტროლის ქვეშ აღნუსხვა:

ქონების გაყოფა მხარეთა შეთანხმებით, სასამართლო წესით;

ქონების გაყოფა სასამართლო წესით;

გაყიდვა საჯარო ვაჭრობით სასამართლო წესით;

საჯარო ვაჭრობით ან მიღებული ხელშეკრულებით უძრავი ქონების გაყიდვა, რომლებიც ეკუთვნით ზემოაღნიშნულ უფლებაუუნარო პირებს;

გ) განუყოფელი ქონების მართვა მთელი წარმოების განმავლობაში.

ბ) უდაო იურისდიქცია

ზემოთხამოთვლილ ფუნქციებს და მათ შედეგებს ნოტარიუსმა, ჩვეულებრივ შეიძლება დაამატოს მხარეთა მორიგება, მათ შორის შეთანხმების მიღწევის ძალისხმევა, სუსტი მხარის დაცვის მისწრაფება, სურვილი მიაღწიოს სამართლიან და დამაბალანსირებელ გადაწყვეტილებას.

მომრიგებელი შუამავლის კომპეტენცია, რომელიც დოკუმენტებს აძლევს სააღსრულებო ძალას, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ რომელიმე განსაკუთრებული დარგით, არამედ უნდა განაგრძოს საქმიანობა იმ შემთხვევებშიც, როდესაც მხარეები მოითხოვენ მის მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ სხვა პროფესიის წარმომადგენელთა კომპეტენციას.

ამგვარად, ნოტარიუსს, რომელიც გამოდის „კერძო მოსამართლის“ როლში, შეუძლია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონსულტაციის გაცემითა და სანოტარო აქტის შედგენით, არამედ მხარეთა შორის დავის არსებობისას გამოვიდეს არბიტრის როლშიც.

ნოტარიალური ფუნქციის და უდაო იურისდიქციის დარგში სასამართლო ხელისუფლების როლთან მისი მსგავსების გათვალისწინება, შესაძლებელს ხდის სასამართლო უფლებამოსილების მნიშვნელოვანი ნაწილის ნოტარიუსებისათვის გადაცემას. არსებობს ზოგიერთ ქვეყნებზე დაკვირვების კონკრეტული მაგალითი: შეუძლებელი იყო მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმის შეცვლა ქორწინების განმავლობაში. აღნიშნული გადაწყვედა მოგვიანებით, მაგრამ სასამართლოს თანხმობის მიღების შემთხვევაში. დღეისათვის კი საკმარისია შესაბამისი შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმება. პარალელურად, ნოტარიუსი გახდა ცენტრალური ფიგურა განქორწინების პროცესში მხარეთა ორმხრივი შეთანხმებისას. ნოტარიუსი აღწერს ქონებას, ადგენს მისი განაწილების აქტს, ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებას და ყველფერს უგზავნის სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით.

III. სანოტარო საქმიანობის სოციალური უპირატესობაა) ნოტარიატის ღვაწლი დაავების აღსაკვეთადნოტარიუსის, როგორც დამცველის ფუნქცია

ნოტარიუსი თავს არიდებს შესაძლო დაავების წარმოშობას. მისი ამჟამინდელი საქმიანობა ეხება პრევენტული სამართლის დარგს, რომელიც თანდათანობით ხდება

მოქალაქეთა შორის სტაბილურობისა და ჰარმონიის გარანტი, რაც განასხვავებს მას კონფლიქტური მიდგომის მომხრე სხვა იურიდიული ტრადიციისაგან.

ამ როლის აღიარება

ა) სასამართლოების მიერ

სანოტარო საქმიანობის ეს მხარე ოფიციალურად იქნა აღიარებული სასამართლო ხელისუფლების საერთაშორისო კავშირის მიერ 1989 წელს მოკაოში ჩატარებულ კონგრესზე, რომელზეც მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

„იქედან გამომდინარე, რომ სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში, სადაც მოქმედებს ლათინური ნოტარიატის სისტემა, ნოტარიუსი არის საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც თავისი მიუკერძოებელი რწევით ინფორმაციას აწვდის მხარეებს განზრახული ქმედების ხასიათსა და მის იურიდიულ შედეგებზე, გამოდის შესაძლო დავებისა და კონფლიქტების აღმკვეთის როლში, ნოტარიუსის მიერ შედგენილი და დამოწმებული აქტი ამარტივებს მტკიცებულებათა წარდგენის პროცედურას;

განსაკუთრებული წარმოების დარგში ნოტარიუსი წარმოადგენს მხარეებს სასამართლოში.

სასამართლოს დავალებით ნოტარიუსი ასრულებს ისეთ სასამართლო მოქმედებებს, როგორცაა ქონების აღწერა, ქონების გაყოფა, ქონების დალუქვა და ა.შ.

სასურველია განმტკიცებულ იქნეს ნოტარიუსის ფუნქცია და უფრო ფართოდ და სრულად იქნას გამოყენებული ნოტარიუსის მომსახურება სასამართლო წარმოებისას“.

ყველაზე საოცარი იყო ის გარემოება, რომ ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას მხარი დაუჭირეს ისეთი სასამართლოებისა და ქვეყნების წარმომადგენლებმა, სადაც მოქმედებს არაკოდიფიცირებული სამართლის სისტემა (common law)!

1994 წელს გენუაში ეს მხარდაჭერა კვლავ იქნა გამოვლენილი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში, რომელზედაც ხელმოწერის პატივი სასამართლო ხელისუფლების საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტთან ერთად ერგო ამ მოხსენების ავტორს. მასში ხაზგასმული იყო, რომ ორივე კავშირის წარმომადგენლები (ლნსკ და სსსკ) საერთო მიზნად ისახავდნენ სამართლიან და პატიოსან, ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომ სასამართლო წარმოებას, მასზე გაწეული ხარჯების შემცირებით.

ბ) ევროპის პარლამენტის მიერ

ჩვენი პროფესიის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ევროპული თანამეგობრობის იმ დროისათვის თორმეტი წევრ სახელმწიფოებში 1994 წლის 18 იანვარს მიღებული რეზოლუციიდან ნოტარიატის მდგომარეობისა და ორგანიზაციის შესახებ, ევროპული პარლამენტი განსაკუთრებულად აღიარებს ნოტარიუსის „გამაფრთხილებელ არასასამართლო ფუნქციას, რაც საშუალებას იძლევა მთლიანად თავიდან აცილებულ იქნას ან შემცირდეს დავების წარმოშობის რისკი.“

ბ) ნოტარიუსის როლი სასამართლო წარმოების ღირებულების შემცირებაში

ნოტარიუსის საქმიანობა, როგორც სამართლებრივი დაცულობის გაზრდის საშუალება

ნოტარიუსის მიერ პირველი, ზემოაღნიშნული როლის შესრულებას მიყვარათ სასამართლო წარმოებაზე გაწეული ხარჯის შემცირებისაკენ. სანოტარო საქმიანობის წყალობით მცირდება ვადა და მარტივდება მტკიცებულებათა წარდგენის პროცედურა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამართლებრივი დაცვის გაზრდის შედეგად, მცირდება

სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევები. მთელ მსოფლიოში სანოტარო აქტების საერთო რაოდენობის მხოლოდ ერთი მეათასედი ნაწილი ხდება სადაო სასამართლოში. **სანოტარო აქტების მტკიცებულებითი და სააღსრულებო ძალის იურიდიული შედეგები** მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევის მცდელობა, რაც თავიდან გვაცილებს სასამართლოსადმი მიმართვას, სანოტარო აქტების **ავთენტურობა** და **მტკიცებულებითი ძალა**, რაც ამარტივებს სასამართლოსთვის მტკიცებულებათა წარდგენის პროცედურას და ამავე აქტების **სააღსრულებო ძალა** მნიშვნელოვნად ამარტივებს იძულებითი აღსრულების პროცედურას და საშუალებას იძლევა მისგან გავათავისუფლოთ სასამართლოები. ყველა აღნიშნული გარემოება ნოტარიატს ანიჭებს მთავარ როლს სასამართლო წარმოებაზე გაწეული ხარჯების გაზრდის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც თავის თავზე იღებს სახელმწიფო, ანუ როგორც იგულისხმება მისი მოქალაქეებიც.

გ. ნოტარიატის წვლილი მომხმარებელთა დაცვაში

1. დაცვა, როგორც ნოტარიუსის მიერ რჩევის მიცემისა და დამაბალანსირებელი გადაწყვეტილების მიღწევის ვალდებულების შედეგი

ნოტარიუსი მომხმარებელთა საუკეთესო მოკავშირეა. მხარისათვის კონტრაქტზე ხელმოწერის შეთავაზებამდე, იგი იძლევა აუცილებელ განმარტებებს, მიუკერძოებელ რჩევებს. ნოტარიუსმა ძლიერი მხარისაგან უნდა დაიცვას შედარებით სუსტი მხარე, მათ შორის დამაბალანსირებელი გადაწყვეტილების მიღების გზით. სავალდებულო შეხვედრა ნოტარიუსთან, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო მომსახურება, რაც შეიძლება შესთავაზოს სახელმწიფომ თავის მოქალაქეებს.

2. დაცვა, როგორც ნოტარიუსის პასუხისმგებლობის შედეგი და მისი უზრუნველყოფა

ა) ნოტარიუსის პასუხისმგებლობის მოცულობა

ნოტარიუსი ატარებს სრულ პასუხისმგებლობას საკუთარ რჩევებსა და საქმიანობაზე. ეს პასუხისმგებლობა არის შეუზღუდავი და არ შეიძლება მოხსნილ იქნას ხელშეკრულებაში შეტანილი რაიმე განსაკუთრებული პუნქტით. ფაქტიურად ნოტარიუსი პასუხს აგებს კლიენტის მიერ გარკვეული რეზულტატის მიღწევისას.

დასავლეთ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში ნოტარიუსის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეყრდნობოდა დავალების ხელშეკრულებაზე თეორიის სასამართლო პრაქტიკას. ძირითადად საუბარი იყო **სახელშეკრულებო პასუხისმგებლობაზე**.

ლუქსემბურგის იურისპრუდენცია ადგენს, რომ „*ნოტარიუსებს არ აქვთ დამოწმებული აქტებისათვის მხოლოდ ავთენტურობის მინიჭების ვალდებულება. ნოტარიატის შესახებ არსებული ორგანული კანონები ამ თანამდებობის პირებს აძლევენ უფრო ფართო უფლებებს და მოითხოვენ გაზრდილ ვალდებულებათა შესრულებას; ნოტარიუსები არიან მხარეთა მრჩეველები, ვალდებულნი არიან დაიცვან ისინი და გასცენ ინფორმაცია მათ მიერ შესასრულებელი ქმედების შესაძლო შედეგების შესახებ. უნდა გამოიყენონ გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი სიფრთხილის ყველა ღონისძიება.*“

შედარებით გვიანდელ გადაწყვეტილებებში, უკვე საუბარია რჩევის მიცემის ვალდებულებისას განზრახ დაშვებულ სამართალდარღვევებზე შესაძლო პასუხისმგებლობის შესახებ.

„*სანოტარო დამოწმებისას მხარეთა წინაშე ნოტარიუსის პასუხისმგებლობა მიეკუთვნება განზრახი სამართალდარღვევის დარგს.*

ნოტარიუსები ვალდებულნი არიან მხარეებს მისცენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რჩევები მათი უფლებების, ვალდებულებების და შესაძლო შედეგების შესახებ

სანოტარო აქტის შედგენამდე. ნოტარიუსები ვალდებული არიან გადაამოწმონ ფაქტები და აუცილებელი მოთხოვნები, რათა მათ მიერ დამოწმებულ დოკუმენტს ჰქონდეს აუცილებელი იურიდიული ძალა.

რჩევის მიცემის აღნიშნული ვალდებულება განხილულია გარიგების მონაწილე მხარეთა სამართალსუბიექტურობისა და კონტრაქტის საგანთან დაკავშირებული ხარჯის ცოდნის თვალსაზრისით.“

ლუქსემბურგი 4 დეკემბერი 1981 წ. 25 318

„სანოტარო დამოწმებისას მხარეთა წინაშე ნოტარიუსის პასუხისმგებლობა განეკუთვნება განზრახი სამართალდარღვევის დარგს.

მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებში, როცა მოქმედებენ საკუთარი პროფესიის მიღმა, მოეპოვებათ ფაქტები, რომლებიც არ არის ასახული მათ მიერ დამოწმებულ აქტში და მოქმედებენ როგორც უფლებამოსილნი ან მმართველნი ბიზნესის სფეროში.

ნოტარიუსთა დელიქტური პასუხისმგებლობა ეხება საჯარო წესრიგის დარგს და თავისი არსითა და მოცულობით არ შეიძლება შეიცვალოს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი რაიმე ცალკეული პუნქტებით.

ნოტარიუსის პასუხისმგებლობა, დაფუძნებული რჩევის მიცემის ვალდებულებაზე შეიძლება იყოს მეტნაკლებად მძიმე, იქედან გამომდინარე, იყვნენ თუ არა ინფორმირებული კონტრაქტის მხარეები იმაზე, რაც აუცილებლად უნდა სცოდნოდათ.“

სასამართლო 14 ივლისი 1986 წ. 27 13

ბ) ნოტარიუსის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა

ნოტარიუსის პასუხისმგებლობა წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს სხვადასხვა ეტაპზე.

უპირველეს ყოვლისა, ნოტარიუსი ვალდებულია დადოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ინდივიდუალური ხელშეკრულება იმ რისკის დასაფარად, რაც დაკავშირებულია მისი ვალდებულებების შესრულებასთან.

გარდა ამისა, ნოტარიუსთა პალატები დამატებით დებენ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, ანდა ქმნიან საგარანტიო ფონდებს ისეთი ზიანის ანაზღაურებისათვის, რომლებიც მიყენებულია განზრახი შეცდომით და რომლებზედაც არ ვრცელდება ზემოაღნიშნული სადაზღვევო პოლისები.

IV ეკონომიკურ პროცესში ნოტარიუსის შუამავლობის უპირატესობა

ა. ღირებულება, ვადები, დაცულობა ნოტარიუსის მონაწილეობისას

სოციალური ხასიათის სპეციფიური გარემოს გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ზომიერი ტარიფების სისტემა ნოტარიუსის მომსახურების ღირებულებას ხდის სრულიად კონკურენტუნარიანს იმ ჰონორარებთან შედარებით, რომელთაც ანალოგიურ საქმეზე ითხოვენ სხვა იურისტები.

იგივე ეხება ნოტარიუსის შუამავლობით შესრულებულ სამუშაოს ვადებს და განსაკუთრებით ოპერაციის დაცულობას.

ნოტარიატი და მსხვილი ეკონომიკური წარმოების პრიორიტეტული მიმართულებები

ნოტარიატს შეუძლია სპეციფიური პასუხი გასცეს მსხვილი ეკონომიკური წარმოების პრიორიტეტულ მიმართულებებს, მსგავსს ვეროპული კავშირისა, რომელთანაც სულ უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებს რუსეთი.

ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების პირობებში ნოტარიუსი ქმნის დაცულობის აუცილებელ გარანტიას ეკონომიკური პროცესების მონაწილე მხარეებისათვის პირადობის მოწმობისა გაცემით. მას შეუძლია კაპიტალის თავისუფალი ბრუნვის სფეროში ეკონომიკურ პარტნიორებს შესთავაზოს არსებული ინსტრუმენტებიდან

საუკეთესო. კერძოდ, სააღსრულებო ძალის მქონე სანოტარო აქტი, დაუყოვნებელი აღსრულებისა და დაგების აღკვეთის საუკეთესო საშუალება. ეს ეხება საქონლის თავისუფალ ბრუნვასაც.

ნოტარიატს აღნიშნულ სამ დარგში შეუძლია შესთავაზოს მხარეებს რჩევა, მომსახურება სანოტარო აქტის შედგენაში და განსაკუთრებულ შემთხვევაში არბიტრაჟიც. ზემოაღნიშნულს სთავაზობს იმ ფასში, ვადაში და დაცულობის იმ გარანტიით, რომელსაც ვერ უძლებს კონკურენცია.

რაც შეეხება იურიდიულ დარგში მომსახურების თავისუფალ ბრუნვას, ნოტარიატი შეიძლება დაეყრდნოს კორესპონდენციულ ქსელს, არსებულს ლნსკ-ს წევრ სამოცდაათამდე ქვეყანაში, აგრეთვე დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნებში.

ნოტარიუსების განლაგება მთელ ტერიტორიაზე

თუ აღვოკატებმა, კონსულტანტებმა დაბეგერის საკითხებში და აუდიტებმა მზარდი მრეწველობის მქონე ქვეყნებში შეწყვიტეს საქმიანობა ცალკეულ ჩამორჩენილ რაიონებში, და რის შედეგადაც მოხდა მათი კონცენტრირება მსხვილ ქალაქებში, ნოტარიუსები მტკიცედ განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, კეთილსინდისიერად და კონკრეტულად აგებენ რა პასუხს იმ ზრუნვაზე, რაც მათ მიმართ გამოხატა თუნდაც ევრო კომისიამ.

V.ნოტარიატი – დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ინსტიტუტი

1995 წლის 25 თებერვალს ვენაში ევროსაბჭოს წარმომადგენელმა, სპეციალურად ჩამოსულმა რათა მონაწილეობა მიეღო პროგრამაში, რომელსაც შემდგომში ეწოდა „ნოტარიუსი, როგორც სამართლებრივი დაცვის გარანტი“, ნოტარიუსებს მისცა შემდეგი განსაზღვრება:

„ნოტარიუსი, როგორც სამართლებრივი დაცვისა და სტაბილურობის გარანტი. ნოტარიუსის, როგორც ნდობით აღჭურვილი პირისა და მოწმე მედიატორის მისია მდგომარეობს შეთანხმებათა დაცვაში და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე ძლიერი მხარისაგან სუსტის, მცოდნესაგან უცოდინარის დაცვაში.

ნოტარიუსის ხელშია მხარეთა ინტერესები, იგი იცავს ადამიანის საქმიანობასა და ქონებას, მის უფლებებსა და საკუთრებას, როგორც მისი მფლობელის თავისუფლების განუყრელ ელემენტს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნოტარიუსი დგას ადამიანის ღირსების სადარაჯოზე და იყენებს ყველა შესაძლებლობას, უზრუნველყოს მისთვის გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას სრული დაცულობის პირობებში.“

ახალი პროგრამის მიზნებზე საუბრისას წარმომადგენელმა განაცხადა:

„დარწმუნებულნი ვართ, რომ ნოტარიუსის ფუნქციისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ახალი დემოკრატიის ქვეყნებში თავისუფალი ნოტარიატის განმტკიცებით, ხელს შეუწყობთ ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების დაცვას, უზრუნველყოფთ ეკონომიკური გარდაქმნებისათვის აუცილებელ იურიდიულ სტაბილურობას. აღნიშნული საშუალებას მისცემს აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებს განავითარონ ეკონომიკა, რომელიც დამყარებული იქნება თავისუფალი ნების ხელშეკრულებებზე, რაც სამედიატორო სასამართლოს მიუკერძოებელი არბიტრის მონაწილეობის წყალობით, იძლევა შეთანხმების თავისუფლების დაცვის გარანტიას.

ასეთ შემთხვევაში არჩევანის გაკეთება იმაზე, თუ რა სჯობს, აღარ არის საჭირო: დავრჩეთ ბედის ანაბარა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თუ დავრჩეთ გათელილები მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისაგან.

აუცილებელია, რომ ადამიანს ჰქონდეს დაცულობისა და თავისუფალი მეწარმეობის ღირსების, ასევე ადამიანური საქმიანობის ღირსეული მართვის გარანტია.

ასეთია მიზანი.“

მსგავსმა მიმართვამ ისეთი ავტორიტეტული ინსტიტუტისა, როგორცაა ევროსაბჭო, არ შეიძლება გულგრილი დატოვოს ნოტარიატი. ის არამხოლოდ ხაზს უსვავს იმას, რომ ნოტარიუსი უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების სამართლებრივ დაცვას, არამედ უთავსებს მას ადამიანის უფლებათა დამცველის როლსაც.

გასული წლის 24 სექტემბერს, ზაკოპანში, პოლონეთის ნოტარიატის აღორძინების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე, ლნსკ-ს ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარემ აღენ მორომ აღნიშნა:

„ადამიანის უფლებათა საერთო დეკლარაციის მე-10 მუხლი და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი საჯაროდ აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას სამართლიანობაზე და მიუკერძოებლობაზე. ამ პირობებში კი, ნოტარიუსი არის გამაფრთხილებელი მართლმსაჯულების წარმომადგენელი. მისი დასკვნის აღიარებული ობიექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ მას უკავშირდება მოქალაქეთა თავისუფალი არჩევანი. იგი ნამდვილი ომბუდსმენია, შუამავალი ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის. თითოეული ჩვენთაგანი, მიუხედავად წარმომავლობისა, ყოველდღიურად უწყობს ხელს სამართლის განვითარებას. თითოეული ჩვენთაგანი, ბერძნული ნოტარიატში დამკვიდრებული შესანიშნავი გამოთქმის თანახმად – ეს არის „მსოფლიო მწყემსი, რომელიც ყველას სთავაზობს საკუთარ მომსახურებას რასობრივი წარმოშობის, რელიგიური რწმენის, სქესისა და პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად. როგორც მომრიგებელი დგას ადამიანის ღირსების სადარაჯოზე, იბრძვის იურიდიული ქაოსის წინააღმდეგ.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ხსენებული არგუმენტები გამოთქმული იყო ნოტარიული აქტის, როგორც ყველაზე თავისუფალი პროფესიის შედეგის დასამკვიდრებლად აზიის, აფრიკისა და ასევე ევროპის ახალი დემოკრატიის ქვეყნებში.

VI. დასკვნა

ნოტარიატი – არის წონასწორობის მატარებელი, ვინაიდან თვითონ ესაჭიროება იგი. მისთვის უცხოა უკიდურესობანი, იგი ვერ ერგება ვერც ტოტალიტარულ და ვერც მინიმალისტურ სახელმწიფოებს.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რკინის ფარდის მოხსნის შემდგომ მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ყველა ამ ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს რესტავრაციაში, ნოტარიატის საჯარო ფუნქციების მქონე, თავისუფალ პროფესიად აღდგენაში. მისი, როგორც გამაფრთხილებლის მისია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს დაახლოება, მორიგება და გაერთიანება დაცულობისა და სტაბილურობის პირობებში.